ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო63. 63251072**
თარიღი:**17/04/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 4

ქ. სამტრედია. 15 აპრილი, 2025 წელი.

2025 წლის 15 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, როლანდ ეცადეიშვილი, ალექსანდრე ალფაიძე, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. დაგეგმვის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი მაკა სეხნიაშვილი.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან ახობაძე.

3. ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის **კულტურის ცენტრი"-ს** ბუღალტერი, ენძელა პატარიძე.

4. ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა **(ბაღები და ბაგა-ბაღები)** გაერთიანების'' ხელმძღვანელი, ხათუნა გაგუა. ბუღალტერი, ნინო რუხაძე.

5. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - ნატო ჯულაყიძე.

6. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მრჩეველი გენდერულ საკითხებში - თამილა კეკელიძე.

7. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი.

8. გაზეთ ,,სამტრედიის მაცნე''-ს ჟურნალისტი - თეა ბაბუნაშვილი.

სხდომა, პროტესტის ნიშნად, დატოვა საკრებულოს ორმა წევრმა: კობა ძიძიგურმა და დავით ნიკოლეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის **15 აპრილის** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის **15 აპრილის** სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ სამტრედიაში, **სანაპიროს ქუჩის მიმდებარედ** არსებულ სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩისა და მე-10 ქუჩის I და II ჩიხებისათვის, სახელის შეცვლისა და **გრიგოლ ჯულუხიძის სახელის** მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი/

3. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დახმარების გაცემის** წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის Nგ-63.632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გ.ლეჟავა/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა **(ბაღები და ბაგა-ბაღები)** გაერთიანების'' 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632435910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის **კულტურის ცენტრი"-ს** 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 მარტის Nგ-63. 63250703 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

6. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

7. 2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, **სოფლის მხარდაჭერის პროგრამის** ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

8. **ელექტრო მანქანის დასამუხტი მოწყობილობით** (ABB Terra სერია 22 KW – SMART (AC) (TAC-W22-T-RD-MC-0)) სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

9. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მერიის საშტატო ნუსხის** დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

10. **სხვადასხვა.**

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობაში, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოში, განიხილება საკითხები, რომლებიც ღირებული და ფასეულია ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრთათვის. თუმცა, საკრებულოს ოპოზიციური ფრთის წარმომადგენლებს არც კი აინტერესებთ რას განვიხილავთ და ვამტკიცებთ საკრებულოს სხდომაზე. დღის წესრიგის დამტკიცებასაც არ ესწრებიან. თუმცა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, მხარი დაუჭირა და მისცა მანდატი იმისათვის, რომ ისინი იყვნენ თანამონაწილენი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. დღეს, ოპოზიციის არც ერთი წარმომადგენელი არ ესწრება საკრებულოს სხდომას, რაც მათ არაკეთილსინდისიერებასა და უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს. ისინი დაკავებული არიან ერთი იდეით, პროვოკაცია-დესტაბილიზაციით და ამით ახდენენ საზოგადოების გაღიზიანებას.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში, **სანაპიროს ქუჩის მიმდებარედ** არსებულ სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოვიდა ***სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 14 მარტის*** N57284 წერილობითი მომართვა. აღნიშნული მომართვიდან ირკვევა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა, ქალაქ სამტრედიაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის 2025 წლის 10 მარტის № 01-6225069100 მომართვა, რომლითაც მუნიციპალიტეტი განმარტავს, რომ მიზანშეწონილია ქალაქ სამტრედიაში მდებარე უძრავი ნივთის (ს/კ 34.08.41.851) **მიმდებარედ არსებულ სახელწოდების არმქონე გეოგრაფიულ ობიექტს**

ეწოდოს სანაპიროს ქუჩა, I ჩიხი. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, გეოგრაფიული ობიექტის - პროსპექტის (გამზირი), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადას, ბულვარის, ხეივანის სახელდებისას დოკუმენტაციას უნდა დაერთოს - სიტუაციური რუკა (ქაღალდის ვერსია). რუკაზე წერტილებით და ხაზებით უნდა იყოს აღწერილი ქუჩის ფორმა და გავრცელების არეალი. ქუჩის დასაწყისი და დასასრული უნდა აღიწეროს წერტილებით, რომელთაც უნდა ახლდეს X,Y კოორდინატები WGS-84 კოორდინატთა სისტემაში“. ***სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო*** ითხოვს, უზრუნველყოთ გეოგრაფიული ობიექტის სახელდებისთვის შესაბამისი სამართლებრივი აქტის/ აქტების გამოცემა და სააგენტოსთვის მოწოდება. ამასთან გთხოვთ განიხილოთ, რამდენად მიზანშეწონილია აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტისთვის ჩიხის სტატუსის განსაზღვრა მისი გავრცელების არეალიდან და მდებარეობიდან გამომდინარე. სახელდებისთანავე, სააგენტო სამისამართო ობიექტებს (შენობა-ნაგებობა/მიწის ნაკვეთი) მიანიჭებს ნუმერაციას და განუსაზღვრავს ინდივიდუალურ მისამართებს. ახლად შექმნილი მისამართები აღირიცხება, როგორც სამისამართო, ასევე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრებში; მისამართებზე ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომი იქნება სააგენტოს ინტერაქტიური რუკის მეშვეობით, https://maps.gov.ge/.

> საკითხი ერთობლივად განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, ქალაქ სამტრედიაში, **სანაპიროს ქუჩის** მიმდებარედ არსებულ სახელწოდების არმქონე გეოგრაფიულ ობიექტს, ეწოდოს სანაპიროს ქუჩის პირველი ჩიხი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

> კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.
>
> ***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედიაში, **სანაპიროს ქუჩის მიმდებარედ** არსებულ სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ''.
>
> ***დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიში მე-10 ქუჩისა და მე-10 ქუჩის I და II ჩიხებისათვის, სახელის შეცვლისა და **გრიგოლ ჯულუხიძის სახელის** მინიჭების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, ***რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2025 წლის 7 მარტის*** N:MRDI N 01/456 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების სფეროში მოქმედი, ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიისთვის, გეოგრაფიული ობიექტის სახელდების თაობაზე, სამტრედიის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს N63-632434732, 12.12.2024 (N5039/01, 13.12.2024) წერილით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ამონაწერს, ამავე კომისიის 2025 წლის 24 თებერვლის N45 სხდომის ოქმიდან. საიდანაც ირკვევა, რომ კომისია თანახმაა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის **სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩას შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს) გრიგოლ ჯულუხიძის სახელი.**

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩას შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს) გრიგოლ ჯულუხიძის სახელი.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩის I ჩიხს შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს) გრიგოლ ჯულუხიძის ქუჩის I ჩიხი.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩის II ჩიხს შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს) გრიგოლ ჯულუხიძის ქუჩის II ჩიხი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, მადლობა გადაუხადა კომისიის ყველა წევრს გაწეული გულისხმიერი მუშაობისათვის.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩისა და მე-10 ქუჩის I და II ჩიხებისათვის, სახელის შეცვლისა და **გრიგოლ ჯულუხიძის სახელის** მინიჭების შესახებ''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გიორგი ლეჟავამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დახმარების გაცემის** წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის Nგ-63.632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 2 აპრილის*** N62-622509297 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დახმარების გაცემის** წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის Nგ-63.632504121 განკარგულებაში (დანართი 1), კერძოდ, მცირდება:

ახალდაქორწინებული ოჯახების წახალისება - 30 000 ლარით;
სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯები - 500 ლარით;
შესაბამისად იზრდება:
მუხლი 1. ახალშობილთა დახმარება - 30 000 ლარით;
მუხლი 3. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება - 500 ლარით;

საკითხი განიხილა, საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დახმარების გაცემის** წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, 2025 წლის 10 თებერვლის Nგ-63.632504121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა **(ბაღები და ბაგა-ბაღები)** გაერთიანების'' 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632435910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 3 აპრილის*** N:62-622509317 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა **(ბაღები და ბაგა-ბაღები)** გაერთიანება''-ს 2025 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, დანართი N5-ით დამტკიცებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა მცირდება ერთი ერთეულით (სპეციალისტი, თანამდებობრივი სარგოთი 950 ლარის ოდენობით) და შესაბამისად იზრდება დანართი N4-ით დამტკიცებული საშტატო განრიგი ერთი ერთეულით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის თანამდებობა სარგოთი 950 ლარით. წარმოდგენილი ცვლილება ეფუძნება განათლების სამინისტროს მიერ საბავშვო ბაღების ავტორიზაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხორციელდება სუბსიდიის გეგმაში ცვლილება. კერძოდ, საქონელი და მომსახურების გეგმა მცირდება 8,5 ათასი ლარით, შესამაბისად იზრდება შრომის ანაზღაურების გეგმა. საქონელი და მომსახურების ხარჯი მცირდება 60,0 ათასი ლარით და შესაბამისად იზრდება თანხა არაფინანსური აქტივის მუხლში 60,0 ათასი ლარით (მეორე ბაგა-ბაღის ავეჯის შესაძენად).

საკითხი განიხილა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა **(ბაღები და ბაგა-ბაღები)** გაერთიანების'' 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632435910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის **კულტურის ცენტრი"-ს** 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 მარტის Nგ-63. 63250703 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2025 წლის 11 მარტს, საკრებულოს სხდომაზე განხილული და დამტკიცებული იქნა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-632435918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული განკარგულების პროექტის ელექტრონულად ატვირთვის დროს, დაშვებული იქნა ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, დანართი N3-ში ა.(ა)ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის **კულტურის ცენტრის"** 2025 წლის ხარჯი'', ,,საქონელი და მომსახურებ''-ის მუხლში (მივლინება ქვეყნის გარეთ) არ აისახა 45,00 ათასი ლარი. საჭიროა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი

გასწორდეს საკრებულოს სხდომაზე.

საკითხი განიხილა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის **კულტურის ცენტრი"-ს** 2025 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632435918 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 მარტის Nგ-63. 63250703 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 2 აპრილის*** N62-622509296 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის **ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“,** სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში. „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N146 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით, გამოყოფილი თანხის ოდენობა გაიზარდა 27.5 ათასი ლარით და განისაზღვრა 618.0 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“-პუნქტის „ე.ე“- ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილებისა და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N43 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის Nბ62. 622507713 18/03/2025 ბრძანებით დაზუსტდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №23 დადგენილება და გაიზარდა (04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების გეგმა 27.5 ათასი ლარით.

ცვლილებები განხორციელდა შემდეგ მუხლებში:

- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური გეგმა შემცირდეს 410.0 ათასი ლარით;
(**02 05 კოდი) სოფლის მეურნეობის განვითარების** არაფინანსური გეგმა - 40.0 ათასი ლარით; (**05 07 კოდი) კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაცის** არაფინანსური გეგმა - 60.0 ათასი ლარით;

სულ - 510.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს (**05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცის** არაფინანსური გეგმა - 465.0 ათასი ლარით; (**02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა - 39.0 ათასი ლარით; ხოლო (**02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების გეგმა - 6.0 ათასი ლარით

- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური გეგმა შემცირდეს - 20.0 ათასი ლარით; (**05 07 კოდი) კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაცის** არაფინანსური გეგმა - 49.0 ათასი ლარით; სულ - 69.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს (**01 01 02 კოდი) სამტრედიის მერიის** არაფინანსური გეგმა - 69.0 ათასი ლარით;

მუხლობრივი ცვლილებები:

- **(02 05 კოდი) სოფლის მეურნეობის განვითარების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 108.1 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

- **(04 01 კოდი) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 60.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 60.0 ათასი ლარით.

- **(06 02 04) კოდი სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების** საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს - 0.5 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 0.5 ათასი ლარით.

- **(06 02 04) კოდი სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების** სოციალური უზრუნველყოფის გეგმა შემცირდეს 30.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს (**06 02 03 კოდი) დედათა და ბავშვთა დახმარების** სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 30.0 ათასი ლარით.
- **(05 01 01) კოდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** სხვა ხარჯების გეგმა შემცირდეს 20.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა - 18.6 ათასი ლარით, ხოლო სუბსიდიის გეგმა - 1.4 ათასი ლარით.

სტრუქტურული ცვლილებები:

- **(06 02 04 კოდი) სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები.**

საკითხი განიხილა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ჯონი ახობაძემ, დავით ჯანელიძემ.

გამომსვლელებმა გამოთქვეს გულისტკივილი იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქის რიგ სკოლებში, სკოლის რეაბილიტაციის შედეგად, შემცირდა საკლასო ოთახების რაოდენობა, გაიყო ჯგუფები და მოსწავლეების გარკვეული ნაწილი სწავლობს მეორე სმენაში. გაკვეთილები მთავრდება 7 საათზე, რაც

ბავშვებისათვის, ზამთრის პერიოდში, ქმნის გარკვეულ პრობლემებს. ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ მერიის შესაბამის სამსახურს, რომ დამატებული ყოფილიყო სამარშრუტო ტრანსპორტი, მაგრამ მივიღეთ უარი.

ვაჟა სტურუამ უპასუხა - ჩვენ საქმის კურსში ვართ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. გვქონდა საუბარი განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან. გაირკვა, რომ განათლების სამინისტროს აქვს თავისი რეგულაციები, რომელიც გულისხმობს, რომ ქალაქის ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისთვის, სატრანსპორტო ხარჯს არ გამოყოფენ. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ უახლოს სკოლამდე 1,5-2,0 კმ რადიუსში არ გამოიყოფა ტრანსპორტი. აღნიშნული თანხები გამოყოფილია მხოლოდ სოფლის სკოლებისათვის. ამ შემთხვევაში გაიზარდა დელეგირებული ტრანსფერი. ვთხოვ, ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს, ტარიელ ცომაიას, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, ჩავერთოთ ამ პრობლემის მოგვარების საკითხში.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, **სოფლის მხარდაჭერის პროგრამის** ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ''.

ვიდრე უშუალოდ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, მინდა გულისტკივილით შევეხო იმ თემას, რომ საკრებულოს სხდომას არ ესწრება ტელევიზიის წარმომადგენლები და პროტესტი გამოვხატო აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. მოვიძიე ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასა და ტელეკომპანია ,,ზარს'' შორის. აქ არის მუხლი 3.4 ,,მიმწოდებელმა (ტელეკომპანია ,,ზარი“) უნდა უზრუნველყოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს საქმიანობის შესახებ, მნიშვნელოვანი ინფორმაციის ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიწოდება, მერიასთან და საკრებულოსთან შეთანხმებით და მუხლი 3.5. ,,მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების ჩანაწერების ტექნიკური უზრუნველყოფა''. ეს არის 2025 წლის 1 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება. კომპანია არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მინდა იცოდეს სამტრედიის მოსახლეობამ, რომ მათი რჩეულები, რომელსაც ხმა მისცეს (მხედველობაში მაქვს ოპოზიციის წარმომადგენლები) უბრალოდ მოდიან, ხელს აწერენ სარეგისტრაციო ფურცელს, მხოლოდ იმისათვის, რომ თვის ბოლოს მიიღონ ანაზღაურება, თუმცა მათზე დაკისრებულ მოვალეობას არც ერთი არ ასრულებს. ვერ ხდება საკრებულოში მიმდინარე პროცესების სათანადო გაშუქება. წლის ბოლოს, ახალი ბიუჯეტის დამტკიცების დროს, მე პირადად მხარს არ დავუჭერ მათთვის თანხის გამოყოფის საკითხს. ეს ასე არ უნდა გაგრძელდეს.

ვაჟა სტურუა - რაც შეეხება ოპოზიციას მე უკვე ავღნიშნე სხდომის დასაწყისში. ტელევიზიის წარმომადგენელი გაფრთხილებული იყო, თუმცა რატომ ვერ გვესწრება ჩემთვის ცნობილი არ არის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 11 აპრილის*** N:62-622510156 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, 2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, **სოფლის მხარდაჭერის პროგრამის** ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მოწონებულ იქნეს 2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები, დანართი №1.

დანართი №1

2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები

№	სოფელი	პროექტის დასახელება	საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა (ლარი)	თანადაფინანსება (ლარი)	პროექტის ღირებულება (ლარი)	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (ლარი)
1	სოფელი ბაში	ამბულატორიის შენობის ფასადისა და ოთახების რეაბილიტაცია	14 400	0	14 049	351
2	სოფელი ბაში	სკვერის შემოღობვა	5 600	0	5 463	137
3	სოფელი იანეთი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
4	სოფელი იანეთი	სანიაღვრე არხისთვის 18 მეტრი პოლიეთილენის 500 მმ დიამეტრის გოფრირებული მილის შეძენა	1 500	0	1 500	0
5	სოფელი იანეთი	გარე განათების მოწყობა	6 500	0	6 341	159
6	სოფელი დიდი ჯიხაიში	რეკრეაციული და სპორტული სივრცის შემოღობვა	20 000	0	19 512	488
7	სოფელი ჯიქთუბანი	გზების მოხრეშვა	9 300	0	9 073	227
8	სოფელი ჯიქთუბანი	მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია	2 000	0	1 951	49
9	სოფელი ჯიქთუბანი	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	700	0	683	17
10	სოფელი პატარა ეწერი	არსებული სკვერის კეთილმოწყობა	10 000	0	9 756	244
11	სოფელი პატარა ეწერი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	2 000	0	1 951	49
12	სოფელი კეჭინარი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
13	სოფელი ოჭოფა	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	1 500	0	1 463	37
14	სოფელი ოჭოფა	სკვერის კეთილმოწყობა	8 500	0	8 293	207
15	სოფელი გვიმრალა	ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	2 500	0	2 439	61
16	სოფელი გვიმრალა	არსებული სკვერის რეაბილიტაცია	8 900	0	8 683	217
17	სოფელი გვიმრალა	ბაღთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	600	0	585	15
18	სოფელი ახალსოფელი	სპორტული ტრენაჟორებისა და განათების მოწყობა	13 000	0	12 683	317
19	სოფელი ახალსოფელი	ე.წ. ტუტამიწის უბანში ბოგირის მოწყობა	3 000	0	2 927	73
20	სოფელი მელაური	საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა	12 000	0	11 707	293
21	სოფელი მიწაბოგირა	სკვერის მოსაწყობად მასალების შეძენა	9 000	0	9 000	0
22	სოფელი მიწაბოგირა	ორი არსებული გზისპირა მოსაცდელის რეაბილიტაცია	3 000	0	2 927	73
23	სოფელი მიწაბოგირა	არსებული სტადიონის რეაბილიტაცია	4 000	0	3 902	98

24	სოფელი ხიბლარი	სანიაღვრე არხის გაჭრა და მილ-ბოგირის მოწყობა	5 000	0	4 878	122
25	სოფელი ხიბლარი	სკვერების კეთილმოწყობა	11 000	0	10 732	268
26	დაბა კულაში	საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა	5 000	0	5 000	0
27	დაბა კულაში	ამბულატორიის შენობის კეთილმოწყობა	10 500	0	10 244	256
28	დაბა კულაში	მშვიდობისა და ბაგაურის ქუჩებზე ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია	4 500	0	4 390	110
29	სოფელი ღანირი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	15 000	0	14 634	366
30	სოფელი ღანირი	გარე განათების მოწყობა	5 000	0	4 878	122
31	სოფელი ჭაგანი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	10 000	0	9 756	244
32	სოფელი ჭაგანი	სკვერის კეთილმოწყობა	6 000	0	5 854	146
33	სოფელი ჩხენიში	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	6 400	0	6 244	156
34	სოფელი ჩხენიში	ნაპირსამაგრის მოწყობა	6 000	0	5 854	146
35	სოფელი ჩხენიში	გარე განათების მოწყობა	3 600	0	3 512	88
36	სოფელი ნაბაკევი	ე.წ. ჯვარცმის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000	0	9 756	244
37	სოფელი ნაბაკევი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	6 000	0	5 854	146
38	სოფელი ხუნჯულაური	სოფელ ხუნჯულაურის მე-3 ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
39	სოფელი ნინუაკუთხე	ე.წ. ჯვარცმის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000	0	9 756	244
40	სოფელი ნინუაკუთხე	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	6 000	0	5 854	146
41	სოფელი კვირიკე	კვირიკეს სასაფლაოს არსებული ღობის რეაბილიტაცია	10 800	0	10 536	264
42	სოფელი კვირიკე	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	1 200	0	1 170	30
43	სოფელი დაბლა ეწერი	ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა	9 000	0	8 780	220
44	სოფელი დაბლა ეწერი	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
45	სოფელი ზედა ეწერი	სანიაღვრე არხის მოწყობა	3 600	0	3 512	88
46	სოფელი ზედა ეწერი	ხიდის მოაჯირის მოწყობა	2 300	0	2 244	56
47	სოფელი ზედა ეწერი	სასმელი წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა	2 000	0	2 000	0
48	სოფელი ზედა ეწერი	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
49	სოფელი ზედა ეწერი	სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელ გზაზე ბეტონის არმირებული კიუვეტების მოწყობა	3 100	0	3 024	76
50	სოფელი კორმაღალი	გზის მოხრეშვა, ბეტონის კიუვეტებისა და ცხაურების მოწყობა	8 480	0	8 273	207
51	სოფელი კორმაღალი	გარე განათების მოწყობა	1 000	0	976	24
52	სოფელი კორმაღალი	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
53	სოფელი კორმაღალი	სასმელი წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა	1 520	0	1 520	0
		ბეტონის კიუვეტებისა და				

54	სოფელი დობირო	ცხაურების მოწყობა	8 100	0	7 902	198
55	სოფელი დობირო	გარე განათების მოწყობა	1 100	0	1 073	27
56	სოფელი დობირო	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	800	0	780	20
57	სოფელი დაბლა გომი	დაბლა გომში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	13 500	0	13 171	329
58	სოფელი დაბლა გომი	წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა	2 500	0	2 500	0
59	სოფელი კეთილაური	მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა	9 000	0	8 780	220
60	სოფელი კეთილაური	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
61	სოფელი ციცწყალა	სასმელი წყლის მაგისტრალის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისთვის მასალების შეძენა	1 850	0	1 850	0
62	სოფელი ციცწყალა	გზის სავალი ნაწილის მოხრეშვა, არხებისა და ცხაურების მოწყობა	7 150	0	6 976	174
63	სოფელი ციცწყალა	ამბულატორიის სველი წერტილის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	1 000	0	976	24
64	სოფელი მთისძირი	საბავშვო სკვერის შემოღობვა	7 500	0	7 317	183
65	სოფელი მთისძირი	გარე განათების მოწყობა	1 000	0	976	24
66	სოფელი მთისძირი	დაბლა გომში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	7 500	0	7 317	183
67	სოფელი დაფნარი	სანიაღვრე არხის გაჭრა, ბეტონის კიუვეტების და მილ-ბოგირების მოწყობა	13 100	0	12 780	320
68	სოფელი დაფნარი	სასაფლაოს შესაღობად მასალების შეძენა	2 900	0	2 900	0
69	სოფელი გომმუხაყრუა	ბეტონის კიუვეტებისა და ცხაურების მოწყობა	10 300	0	10 049	251
70	სოფელი გომმუხაყრუა	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციისთვის მასალების შეძენა	1 700	0	1 700	0
71	სოფელი გომნატეხები	400 მმ დიამეტრის მილებით სანიაღვრე არხის მოწყობა	8 000	0	7 805	195
72	სოფელი გომნატეხები	სასმელი წყლის სისტემისთვის მასალების შეძენა	550	0	550	0
73	სოფელი გომნატეხები	გარე განათების მოწყობა	1 000	0	976	24
74	სოფელი გომნატეხები	გზის მოხრეშვა	2 450	0	2 390	60
75	სოფელი პირველი ნიგორწღვა	გზის რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
76	სოფელი მეორე ნიგორწღვა	სკვერის მოწყობა	10 000	0	9 756	244
77	სოფელი ჭოგნარი	არსებული სკვერის რეაბილიტაცია	12 000	0	11 707	293
78	სოფელი საჯავახო	სკვერის მოწყობა	16 000	0	15 610	390
79	სოფელი ქვემო ნოღა	ბეტონის გზის დაგება	12 000	0	11 707	293
80	სოფელი ზემო ნოღა	გარე განათების მოწყობა	12 000	0	11 707	293
81	სოფელი ბუღნარა	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	6 000	0	5 854	146
82	სოფელი ბუღნარა	გარე განათების მოწყობა	6 000	0	5 854	146
83	სოფელი ქორეისუბანი	ქორეისუბნის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	10 000	0	9 756	244
		ქორეისუბნის სასაფლაოს				

84	სოფელი ვაზისუბანი	შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	16 000	0	15 610	390
85	სოფელი ტოლები	ბეტონის გზის დაგება სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე	10 000	0	9 756	244
86	სოფელი ზემო ტოლები	გარე განათების მოწყობა	10 000	0	9 756	244
87	სოფელი თხილაგანი	გზის რეაბილიტაცია	10 000	0	9 756	244
88	სოფელი წიაღუბანი	სასაფლაოს შემოღობვა	10 000	0	9 756	244
89	სოფელი მტერჩვეული	სასაფლაოს შემოღობვა	10 000	0	9 756	244
90	სოფელი ნაწილი ოფეთი	სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	10 000	0	9 756	244
91	სოფელი პატარა ოფეთი	გარე განათების მოწყობა	10 000	0	9 756	244
92	სოფელი დიდი ოფეთი	გარე განათების მოწყობა	10 000	0	9 756	244
93	სოფელი გორმაღალი	ქვაყუდის უბანში სკვერის შემოღობვა	8 000	0	7 805	195
94	სოფელი გორმაღალი	მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	8 000	0	7 805	195
95	სოფელი გამოჩინებული	სანიაღვრე არხების მოწყობა	10 000	0	9 756	244
			660 000	**0**	**644 597**	**15 403**

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,2025 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, **სოფლის მხარდაჭერის პროგრამის** ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ''.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,**ელექტრო მანქანის დასამუხტი მოწყობილობით** (ABB Terra სერია 22 KW – SMART (AC) (TAC-W22-T-RD-MC-0)) სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) თანხმობის მიცემის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 2 აპრილის N62-622509289 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, **,,ელექტრო მანქანის დასამუხტი მოწყობილობით** სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ, ა(ა)იპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–ს (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708), რომ დაადგინოს ელექტრო მანქანის დასამუხტი მოწყობილობით (ABB Terra სერია 22 KW – SMART (AC) (TAC-W22-T-RD-MC-0)) სარგებლობის საფასური.

- ელექტრო მანქანის დასამუხტი მოწყობილობით (ABB Terra სერია 22 KW – SMART (AC) (TAC-W22-T-RD-MC-0)) სარგებლობის საფასურად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–ს (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) მიერ, განისაზღვროს - 1 კვტ.სთ-ით

დამუხტვის მომსახურება 0.50 ლარის ოდენობით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,**ელექტრო მანქანის დასამუხტი მოწყობილობით** (ABB Terra სერია 22 KW – SMART (AC) (TAC-W22-T-RD-MC-0)) სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი–438728708) თანხმობის მიცემის თაობაზე''.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მერიის საშტატო ნუსხის** დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 2 აპრილის N62-622509280 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში. ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'', საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ", საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს, ხოლო მე-4 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ", საქართველოს კანონის 25- ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ", საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მერიის საშტატო ნუსხის** დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შედეგად განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და

ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს დაემატება საგანმანათლებლო და სახელოვნებო სკოლებთან განსახორციელებელი პროგრამების კოორდინაციის საკითხებში სპეციალისტის ერთი სახელშეკრულებო შტატი.

საკითხი განიხილა, საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის **მერიის საშტატო ნუსხის** დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი